საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №48/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 8 ივნისის №48 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 ივლისის №48/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ ისე გამოიტანა, რომ არ დაელოდა ფოსტის უკუგზავნილებს.

1.2. საჩივრის ავტორის მოსაზრებით მოსამართლე ცდილობდა საქმის მალე დასრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეამოწმა მოსამართლის დეკლარაცია, საიდანაც ამოიკითხა, რომ მოსამართლის მეუღლე მუშაობს -- -- სამსახურში. მოპასუხემ (საჩივრის ავტორმა) მოსამართლეს განუცხადა აცილების შესახებ. მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

1.3. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სხდომის მდივანმა შეადგინა სატელეფონო შეტყობინების აქტი იმის თაობაზე, რომ 2019 წლის 18 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს დაუკავშირდა -- -- სხდომაზე დაბარების მიზნით, ხოლო საჩივრის ავტორის განცხადებით მას სხდომის მდივანი არ დაკავშირებია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 18 ივლისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სსიპ -- -- დეპარტამენტმა მოპასუხე -- -- მიმართ. წარდგენილი სარჩელით მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ გაწეული მომსახურების საფასურის -- ლარის და პირგასამტეხლოს -- ლარის დაკისრება მოითხოვა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 9 ივლისის განჩინებით სსიპ -- -- დეპარტამენტის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში; მოპასუხეს გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები და დაევალა ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წერილობითი პასუხის (შესაგებელი) და მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა.

-- -- სარჩელი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნა 2019 წლის 10 ივლისს სარჩელში მითითებულ ძირითად მისამართზე - -- --. აღნიშნული წერილი დაბრუნდა უკან ადრესატის მისამართზე არ ყოფნის გამო.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 21 აგვისტოს განჩინებით -- -- სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სასამართლოს ვებგვერდზე (tcc.gov.ge) შეტყობინების განთავსებით -- -- ეცნობა, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ -- -- დეპარტამენტის სარჩელი -- -- მიმართ მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ გაწეული მომსახურების საფასურის -- ლარისა და პირგასამტეხლოს -- ლარის დაკისრების მოთხოვნით; -- -- ეცნობა, რომ 2019 წლის 30 აგვისტოს 14:00 საათზე დანიშნულია სასამართლო მოსამზადებელი სხდომა, რომელიც შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, გადაიზრდება მთავარ სხდომაში.

სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად, განჩინება და უწყება მოპასუხეს გაეგზავნა 2019 წლის 21 აგვისტოს სარჩელში მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე - -- --. გზავნილი ჩაბარდა -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 30 აგვისტოს საოქმო განჩინებით მოპასუხე მხარის წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; საქმის განხილვა გადაიდო 2019 წლის 25 სექტემბერს 10:30 საათზე.

სსიპ -- -- დეპარტამენტმა დაზუსტებული სარჩელი -- -- სასამართლოში წარადგინა 2019 წლის 18 სექტემბერს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს სხდომა გადაიდო 23 ოქტომბერს, ვინაიდან საქმეზე წარდგენილი იყო დაზუსტებული სარჩელი, რომელიც მოპასუხე მხარეს არ ჩაბარებია.

აღნიშნულის თაობაზე გზავნილი მოპასუხე მხარეს გაეგზავნა 2019 წლის 27 სექტემბერს. გზავნილი დაბრუნდა ჩაუბარებელი მოპასუხის მისამართზე არ ყოფნის გამო. სასამართლოს სხდომის მდივნის -- -- მიერ შედგენილ იქნა სატელეფონო შეტყობინების აქტი, რომლის თანახმადაც, მოპასუხეს ეცნობა სხდომის თაობაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 23 ოქტომბრის სასამართლოს სხდომა გადაიდო ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა სხდომის თაობაზე, წერილობითი გზავნილი არ ჩაბარებია მისამართზე არ ყოფნის გამო, ხოლო სხდომაზე დაზუსტებული სარჩელი უნდა განხილულიყო და საქმის განხილვა მთავარი სხდომიდან გაგრძელებულიყო. მხარის გამოუცხადებლობის გამო სხდომა გადაიდო 29 ნოემბერს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ -- -- დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2020 წლის 16 აპრილს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 ივლისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 8 ივნისის №48 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია გავმიჯნოთ რა არის დისციპლინური გადაცდომა და რა სამართლებრივი შეცდომა.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

სამართალწარმოების სამართლიანობა ყოველთვის ფასდება მთლიანად მისი შემოწმებით, ამდენად იზოლირებული უსწორობა შეიძლება არ იყოს საკმარისი, რათა სამართალწარმოება მთლიანობაში არასამართლიანად იქნეს მიჩნეული (Miroļubovs and Others v. Latvia, § 103).

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი არ ითვალისწინებს დოკუმენტების გაგზავნის კონკრეტულ ფორმას (Bogonos v. Russia (dec.), no. 68798/01, 05/02/2004, და (Orams v. Cyprus (dec.), no. 27841/07, 10/06/2010). თუმცა სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (Ruiz-Mateos v. Spain), 23/06/1993, §63, Series A no. 262). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს,

რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (Lobo Machado v. Portugal), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I).

თუ სასამართლო დოკუმენტები მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაჰბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (Ozgur-Karaduman v. Germany (dec.), no. 4769/02, 26/06/2007); (Weber v. Germany (dec.), no. 30203/03, 02/10/2007); (Zavodnik v. Slovenia), no. 53723/13, §70, 21/05/2015)

საჩივრის ავტორის მიუთითებს, რომ მოსამართლემ განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ ისე გამოიტანა, რომ არ დაელოდა ფოსტის უკუგზავნილებს. ამდენად, განჩინების ჩაბარებასთან მიმართებით საყურადღებოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფაქტის დადგენას და მის მისადაგებას დისციპლინური გადაცდომის კონკრეტულ სახესთან.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ მოპასუხე -- -- სარჩელი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნა 2019 წლის 10 ივლისს სარჩელში მითითებულ ძირითად მისამართზე - -- -- აღნიშნული წერილი დაბრუნდა უკან ადრესატის მისამართზე არ ყოფნის გამო.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 21 აგვისტოს განჩინებით შეტყობინების განთავსებით -- -- ეცნობა, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ -- -- დეპარტამენტის სარჩელი -- -- მიმართ. ასევე, ეცნობა, რომ 2019 წლის 30 აგვისტოს 14:00 საათზე დანიშნულია სასამართლო მოსამზადებელი სხდომა.

სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად, განჩინება და უწყება მოპასუხეს გაეგზავნა 2019 წლის 21 აგვისტოს სარჩელში მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე - -- --. გზავნილი ჩაბარდა -- --.

ამდენად, მოსამართლის მიერ საჯარო შეტყობინებით მხარისათვის სარჩელის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა სარჩელის მხოლოდ ერთხელ გაგზავნის შემდეგ. მაშინ, როდესაც მოსამართლემ ორჯერ მაინც უნდა გაუგზავნოს მხარეს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მხარეს არ შეზღუდვია უფლება მონაწილეობა მიეღო სასამართლოს სხდომაში, რადგან საჯარო შეტყობინების შემდეგ ალტერნატიული მისამართის საშუალებით გაეგზავნა და ჩაბარდა მხარეს სარჩელი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ აღნიშნავს, რომ „მთავრობამ არ განმარტა, თუ რატომ არ გაუგზავნა -- -- სასამართლომ სამართალწარმოების პირველ ეტაპზე სასამართლო უწყება ორჯერ განმცხადებელს, სანამ საჯარო შეტყობინებას განახორციელებდა, რითიც დაირღვა სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი პარაგრაფი (§15). თუმცა, მიუხედავად ამ პროცედურული დარღვევისა, საქმეში ეროვნული ორგანოების მიერ დოკუმენტების გაგზავნის ფორმა საკმარისი იყო იმაში დასარწმუნებლად, რომ მომჩივანი ნამდვილად ინფორმირებული იყო სამართალწარმოების შესახებ“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც კონკრეტულ ქმედებაზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აუცილებელია მხარე იყოს ინფორმირებული და ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოებაში. ამასთან, „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო ასევე განმარტა, რომ „სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე“.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო უწყებების დაგზავნა და საჯარო შეტყობინების სახით მისი გამოქვეყნების შესახებ განჩინებები ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - უზრუნველეყო სამართალწარმოების სისწრაფე და ეფექტურობა. შესაბამისად კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მხარეთა უფლებების შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი“.

განსახილველ საქმესთან მიმართებაში მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნა, კერძოდ მიუკერძოებლობა ევროპის სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც სუბიექტური მიდგომის გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ისე ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსამართლემ წარმოადგინა გარანტიები საკმარისი იმისთვის, რომ გამორიცხულიყო რაიმე სახის კანონიერი ეჭვი მის მიუკერძოებლობაში.[1]

მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს, ის უნდა მოდიოდეს საღად მოაზროვნე და მცოდნე ადამიანებისაგან, რომლებიც ყურადღებით შეისწავლიან საკითხს და მის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას მიიღებენ.[2]

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2002 წლის №3 დასკვნა, §27-28, გვ.7

[2] „მოსამართლის ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბ. 2015, გვ. 107 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf (ნანახია 29.06.2020)

მოსამართლეების ხშირმა დისკვალიფიკაციამ შეიძლება, ზოგადად მოსამართლეებისა და კონკრეტულად ამ მოსამართლისადმი არაკეთილგანწყობა გამოიწვიოს და, ამის გარდა, დამატებითი ტვირთი დააწვეს მის კოლეგებს. მოდავე მხარეებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ თავად შეუძლიათ აირჩიონ, რომელი მოსამართლე განიხილავს მათ საქმეს, რაც დაუშვებელია. ამიტომ მოსამართლემ ისე უნდა წარმართოს პირადი და საქმიანი ურთიერთობები, რომ მინიმუმამდე შეამციროს მათი სამოსამართლო მოვალეობებთან კოლიზიის შესაძლებლობა.[3]

მოსამართლის აცილებაზე საუბრის დროს საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

დადგენილია, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა 2019 წლის 30 აგვისტოს სხდომაზე დააყენა იმ საფუძვლით, რომ მოსამართლის მეუღლე მუშაობდა -- -- სამსახურში. სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ მისი მეუღლე არ იკავებდა რაიმე თანამდებობას -- -- დეპარტამენტში. შემხებლობა კონკრეტულ საქმესთან არ ჰქონდა, ხოლო მეუღლის კონკრეტულ დაწესებულებაში დასაქმების ფაქტი არ იძლეოდა მოსამართლის აცილების საფუძველს. შესაბამისად უარი უთხრა მოპასუხის წარმომადგენელს საქმის აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ მიუკერძოებლობა მოიცავს წინასწარგანწყობის ან ტენდენციურობის არარსებობას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მისი არსებობა მოწმდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის გამოყენებით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ხდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მრწამსისა და ქცევის გათვალისწინება, ანუ მოსამართლემ გამოხატა თუ არა კონკრეტულ საქმეში პერსონალური წინასწარგანწყობა ან ტენდენციურობა. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში.

ის მოცემულობა, რომ მოსამართლის მეუღლე მუშაობს -- -- სამსახურში, არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს, რადგან მხარის შუამდგომლობაზე მოსამართლემ დასაბუთებულად განმარტა რატომ არ აკმაყოფილებდა აცილების შუამდგომლობას. აღნიშნულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ 14:13:31 საათზე მხარემ (საჩივრის ავტორმა) განაცხადა - „გასაგებია, მე ხომ არ ვიცოდი რა თანამდებობაზეა. თუ შემხებლობა ექნებოდა უშუალო რა თქმა უნდა...“ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსამართლეს თვითაცილების განხორციელების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სუბიექტური ტესტის გათვალისწინებით მას წინასწარ ექნებოდა შექმნილი აზრი კონკრეტულ დავასთან მიმართებით.

აქვე, აღსანიშნავია, რომ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა აცილების აშკარა საფუძველი. ამდენად, მოსამართლის აცილების აშკარა საფუძვლის არ არსებობისას მოსამართლე -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4.3. რაც შეეხება, სხდომის მდივნის ქმედებებს, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება სასამართლო ქმედების/უმოქმედობის გამო არ შეზღუდვია.

[3] „მოსამართლის ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბ. 2015, გვ. 99 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf (ნანახია 29.06.2020)

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №48/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი